სს „სილქნეტის” საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი
2011 წელი

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. სს "სილქნეტს" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაკისრებული აქვს შემდეგ გეოგრაფიულ სეგმენტებზე:
   ა) თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
   ბ) ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
   გ) ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
   დ) ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
   ე) ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
   ვ) სხვა მომსახურების ზონები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის №428/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით (გარდა რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონისა).

2. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართებია (ურთიერთჩართვის წერტილი):
   ა) თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ძირითად მისამართად განსაზღვრულია თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 95;
   ბ) ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ძირითად მისამართად განსაზღვრულია ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. № 22;
   გ) ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ძირითად მისამართად განსაზღვრულია ბათუმი, 26 მაისის ქ. № 47;
   დ) სხვა მომსახურების ზონები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის №428/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით (გარდა რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონისა) – ძირითად მისამართად განსაზღვრულია სილქნეტის სერვის ცენტრების მისამართები (კონკრეტული მისამართები მოცემულია შემდეგ ვებ გვერდზე www.silknet.com).

   შენიშვნა: წინამდებარე ოფერტის მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების ზონებში მომსახურების მიღების მსურველი ავტორიზებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, სილქნეტი იტოვებს უფლებას ავტორიზებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას, ავტორიზებულ პირს შესთავაზოს სხვადასხვა ალტერნატიული ტექნოლოგიური/ტექნიკური საშუალებებით სილქნეტის მიერ ურთიერთჩართვის წერტილის მოწყობა.

3. სს „სილქნეტის" მიერ ურთიერთჩართვის განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: Digital Interface ITU-T Rec. G.703, carrier E1, Audio codec G.711.

4. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ტარიფები შეადგენს:

მომსახურების მიწოდების მისამართები (ურთიერთჩართვის წერტილი)	ტარიფი – 2 თეთრი წუთში	ტარიფი – 3 თეთრი წუთში
თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 95	თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება	საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის (თბილისისა და რუსთავის გარდა) ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება
ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. № 22	ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება	საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის (ქუთაისისა და რუსთავის გარდა) ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება
ბათუმი, 26 მაისის ქ. № 47	ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება	საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის (ბათუმისა და რუსთავის გარდა) ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება/ზონაში (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) ზარის დასრულება
სხვა მომსახურების ზონა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის №428/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით (გარდა თბილისი, ქუთაისი, ბათუმისა და რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონებისა)	ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება იმავე ზონაში/ (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) იმავე ზონაში ზარის დასრულება	ერთი ადგილობრივი მომსახურების ზონიდან (სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი ქსელიდან) ზარის წამოწყება მეორე ზონაში (რუსთავის გარდა)/ (სილქნეტის ფიქსირებული სადენიან ქსელში) მეორე ზონაში (რუსთავის გარდა) ზარის დასრულება

შენიშვნა: ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის 10 რიცხვისა. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა (სს "სილქნეტისათვის" მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე invoices@silknet.com). მეორე მხარის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების შედგენა ხდება სს "სილქნეტის" მონაცემების საფუძველზე. სს "სილქნეტი" გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებას მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე საოქმო გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარს სს "სილქნეტს" უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

5.2. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას. განსხვავება მხარეების მიერ წარმოდგენილ ტრაფიკის შესახებ ინფორმაციაში ან/და მხარეთა კუთვნილი თანხების ოდენობაში უნდა იყოს სამ პროცენტზე მეტი ან/და მინიმუმ ორმოცდაათ ლარზე მეტი. ისეთ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილ ტრაფიკის ოდენობის შესახებ მონაცემებში განსხვავება არ არის სამ პროცენტზე ან/და ორმოცდაათ ლარზე მეტი, ხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მონაცემების გასაშუალოება.

5.3. 5.2 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. "კომპანია" სს "სილქნეტს" აწვდის სადაო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. ამასთან, სასადგურე ჩანაწერებისადმი მინიმალური მოთხოვნა არის csv ფორმატი და ველები: Date; Time; cic; opc; dpc; Number A; Number B; Cause; Total time; Answer time; Duration. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, ერთობლივი კომისიის მუშაობის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა ან/და სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, "კომპანიის" მიერ სს "სილქნეტისგან" მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად, სს "სილქნეტი" უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ზ) ან/და თ) ან/და ი) პუნქტებით გათვალისწინებული საშუალება ან/და შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.4. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს საოქმო გადაწყვეტილებას), ანგარიშსწორება იწარმოებს სს "სილქნეტის" მიერ „კომპანიისადმი" წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

5.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

5.6. სს „სილქნეტის“ ინიციატივით, მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ტარიფის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, „კომპანიისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელების ვადამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, მხარის მიერ ტარიფების გამოქვეყნება.
5.7. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ ეთანხმება ტარიფების ცვლილებას, ეს განხილული იქნება როგორც წინამდებარე ოფერტით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებით დარღვევად და უარად მომსახურების მიღებაზე, შესაბამისად, სს „სილქნეტი“ უფლებამოსილი იქნება დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს/შეაჩეროს ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულ მომსახურებაზე კანონმდებლობით დადგენილ წესის შესაბამისად.

6. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) განხორციელების პირობები და პროცედურები:
6.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:
ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
დ) გასააქტიურებელი ნუმერაციის რესურსის სალიცენზიო მოწმობის ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კომპანიის მიერ ნუმერაციის ფლობის ფაქტს;
ე) სრულად შევსებული განაცხადი (დანართი №1), განაცხადი იგზავნება ელექტორნულად მისამართზე carriers.request@silknet.com და ფოსტით მისამართზე სს „სილქნეტი“, წინამძღვრიშვილის 95, თბილისი, საქართველო;
ვ) წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;
ზ) გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს მხარის მიერ მოთხოვნილ ხელშეკრულების ვადას. აღნიშნული საბანკო გარანტია იქნება კომპანიის მიერ სს "სილქნეტის" წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. საბანკო გარანტიის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ ურთიერთჩართვისათვის მოთხოვნილი 2 მგბ/წმ ნაკადების რაოდენობაზე. კერძოდ, ყოველი მოთხოვნილი ერთი ცალი 2 მგბ/წმ ნაკადისათვის განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია 10 000 (ათიათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, წინამდებარე გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, ღირებულება, საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;
თ) სს "სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე (რეკვიზიტები) დეპოზიტის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. დეპოზიტის პირობები განსაზღვრული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ზემოაღნიშნული დეპოზიტის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ ურთიერთჩართვისათვის მოთხოვნილი 2 მგბ/წმ ნაკადების რაოდენობაზე. კერძოდ, ყოველი მოთხოვნილი ერთი ცალი 2 მგბ/წმ ნაკადისათვის განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს სს "სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე (რეკვიზიტები) დეპოზიტის სახით 10 000 (ათიათასი) ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან, წინამდებარე დეპოზიტთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;
ი) სს "სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე (რეკვიზიტები) დეპოზიტის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. დეპოზიტის პირობები განსაზღვრული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ზემოაღნიშნული დეპოზიტის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოთხოვნილი სს "სილქნეტის" ქსელში ან/და მისი გავლით განმცხადებლის მიერ დასრულებული წუთების რაოდენობაზე. კერძოდ 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში განმცხადებელი უთითებს თუ რა რაოდენობის წუთების დასრულებას გეგმავს სს "სილქნეტის" ქსელში ან/და მისი გავლით და სს "სილქნეტი", ამის შესაბამისად, მას განუსაზღვრავს სადეპოზიტო თანხის ოდენობას, ხოლო განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს სს "სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე (რეკვიზიტები) დეპოზიტის სახით სს "სილქნეტის" მიერ განსაზღვრული ოდენობით თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან

წინამდებარე დეპოზიტთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი.
6.1.1 განმცხადებელს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს სს „სილქნეტის“ წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).

შენიშვნა: *განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ზ), თ) ან ი) პუნქტებიდან მხოლოდ ერთი. აღნიშნული ვალდებულების შესრულება განმცხადებელს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის გაკეთებამდე მას სს „სილქნეტთან“ არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა წინამდებარე მოწვევის ოფერტით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან/და განმცხადებლის მიერ ნაწილობრივ ან/და არაჯეროვნად სრულდებოდა სს „სილქნეტის” წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები (მათ შორის, 2010 წლის 12 მარტის შემდგომ სს „სილქნეტის“ მიერ გამოწერილ საოქმო გადაწყვეტილებებში დაფიქსირებული თანხები არ არის ან/და არასრულადაა გადახდილი განმცხადებლის მიერ)*

ვადების ათვლა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 6.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სს “სილქნეტში როგორც ელექტრონული ფორმით ელექტრონული ფოსტის მისამართზე carriers.request@silknet.com*, ასევე წერილობით მისამართზე წინამძღვრიშვილის 95, თბილისი, საქართველო.*

6.2. განმცხადებლის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სს “სილქნეტი” შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 პუნქტში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ კი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს 6.1 პუნქტით დაფიქსირებული რომელიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთს ან/და გააჩნია დავალიანება სს “სილქნეტის” მიმართ, მას უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.
6.3. 6.2 პუნქტის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის მიმართვიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, სს “სილქნეტი” შეისწავლის არის თუ არა ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი განმცხადებლის მიერ წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში აღწერილი სქემითა და საშუალებებით და შეესაბამება თუ არა ისინი წინამდებარე ოფერტასა და წარმოდგენილ განაცხადში აღწერილ ტექნიკურ პარამეტრებს.
6.4. 6.3 მუხლის მიხედვით უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, თუ კი ტექნიკური შესაბამისობის მიღწევა შეუძლებელია, მაშინ განმცხადებელს უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა, ხოლო თუ კი ტექნიკური შესაბამისობის მიღწევა შესაძლებელია - საჭირო არის პროექტის მომზადება (ანუ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც განმცხადებელმა მოითხოვა ურთიერთჩართვა თავის სადგურთან, რომლის განთავსებაც წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით არ არის მოთხოვნილი სს “სილქნეტის” შესაბამის თანალოკაციის ფართზე ან/და აღნიშნულ მისამართზე ურთიერთჩართვაზე განაცხადის შემოტანის დროს არ არის განმცხადებლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი თავისუფალი თანალოკაციის ფართი), მაშინ 5 სამუშაო დღის ვადაში ხდება პროექტის მომზადება (ამასთან, თუ კი არ არის პროექტის განხორციელების ტექნიკური საშუალება – საჭირო არის ახალი კაბელის ჩადება განმცხადებელი ვალდებულია იმოქმედოს სს “სილქნეტის” ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მიხედვით, ხოლო წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული მოქმედებები შეჩერდება ტექნიკური საშუალების გაჩენამდე – ახალი კაბელის ჩადებამდე (ამასთან ჩერდება წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული სს “სილქნეტის” ყველა ვალდებულება და ყველა ვადის ათვლა)). ამასთან, თუ კი წინამდებარე მუხლის მიხედვით მომზადებული პროექტის განხორციელების ტექნიკური საშუალება და პირობები მიუღებელია, მაშინ განმცხადებელს უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.
6.5. 6.3 და 6.4 პუნქტების მიხედვით გათვალისწინებული მოქმედებების დასრულების შემდეგ, თუ კი წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოთხოვნილია თანალოკაციის ფართის გამოყოფა და იგი საჭიროა მოთხოვნილი სქემით ურთიერთჩართვის განსახორციელებლად და აღნიშნულ მისამართზე ურთიერთჩართვაზე განაცხადის შემოტანის დროს არის განმცხადებლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი თავისუფალი თანალოკაციის ფართი, მაშინ 5 სამუშაო დღის ვადაში ხდება თანალოკაციის განხორციელება დანართი №2 შესაბამისად. ხოლო 6.3

და 6.4 მუხლების მიხედვით გათვალისწინებული მოქმედებების დასრულების შემდეგ, თუ კი წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოთხოვნილია თანალოკაციის ფართის გამოყოფა და იგი საჭიროა მოთხოვნილი სქემით ურთიერთჩართვის განსახორციელებლად, მაშინ 10 სამუშაო დღის ვადაში ხდება სატესტო რეჟიმის დასრულება.

6.6. 6.3, 6.4 და 6.5 პუნქტების მიხედვით გათვალისწინებული მოქმედებების დასრულების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავტორიზებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია, სს "სილქნეტი" ვალდებულია განმცხადებელს გაუგზავნოს მის მიერ ხელმოწერილი ურთიერთჩართვისა (კერძოდ, კი საკუთარ ქსელში ზარების წამოწყებისა და დასრულების მომსახურების შესახებ) და თანალოკაციის ფართთან დაშვების შესაბამისი ხელშეკრულებები. განმცხადებელი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს სს "სილქნეტს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ განმცხადებელი უარს აცხადებს ოფერტაზე და სს "სილქნეტი" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები მათი არსებობის შემთხვევაში და ჩაითვლება, რომ სს "სილქნეტს" გამცხადებელთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

6.7. 6.6 პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთჩართვის (კერძოდ, კი საკუთარ ქსელში ზარების წამოწყებისა და დასრულების მომსახურების შესახებ) ხელშეკრულებების გაფორმებასთან ერთად, მხარეები 5 დღის ვადაში შეათანხმებენ წინამდებარე ოფერტის 6.1 მუხლის ე) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოთხოვნილ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობებს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის დანართს ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაზე.

6.8. ის ავტორიზებული პირები, რომლებსაც აქვთ სს "სილქნეტთან" წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული მოქმედი ურთიერთჩართვისა და თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშეკრულებები, დამატებითი სიმძლავრის, დამატებითი თანალოკაციის ფართის ან/და დამატებით ურთიერთჩართვის წერტილთან დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან იმოქმედონ მუხლი 6-ში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

7. სს "სილქნეტის" ძირითადი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართების მისამართი ემთხვევა შესაბამისი ურთიერთჩართვის წერტილის მისამართს. ფართზე დაშვების პირობები (მათ შორის დაშვების საფასური) განსაზღვრულია დანართით №2 და №3;

8. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

8.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

8.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს

წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:
9.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

10. სს "სილქნეტი" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:
10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მიერ; გარდა იმ დავებისა, რომელთა განხილვაც ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრეროგატივას წარმოადგენს.

11. წინამდებარე ოფერტა მოქმედებს გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ შავდია

დანართი №1

სს „სილქნეტის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეკვეთის ფორმა.

1. შეკვეთის ტიპი

ახალი შეკვეთა ☐ ურთიერჩართვის მოწყობა	☐ არსებული ურთიერთჩართვაზე E1–ების დამატება ☐ ახალი მომსახურებების დამატება
შეკვეთის თარიღი:	მომსახურების დაწყების სასურველი თარიღი:
შეკვეთის შეცვლა ☐ ადმინისტრაციული ცვლილება (შეავსეთ ოპერატორის მონაცემები მე–3 პუნქტში) ☐ მიმდინარე მომსახურებისას E1–ების რაოდენობის ცვლილება (შეავსეთ პუნქტები 2,4, 7,8) ☐ სხვა:	

2. საკონტაქტო ინფორმაცია (ივსება ოპერატორის/სილქნეტის მიერ)

ინფორმაცია კომპანიის შესახებ	ოპერატორი	სს სილქნეტი
კომპანიის შიდა ნომერი		
კომპანიის სახელწოდება		
ხელმძღვანელის თანამდებობა		
ხელმძღვანელის ვინაობა		
საიდენტიფიკაციო ნომერი:		
დღგს გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი:		
მისამართი (ქუჩა)		
მისამართი (საფოსტო კოდი)		
Web მისამართი		

კომერციული სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია

კომერციული საკონტაქტო პირი		
განყოფილება		
ტელეფონის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		

ბილინგის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია

ბილინგის საკონტაქტო პირი		
განყოფილება		
ბილინგის სამსახურის მისამართი,		
საფოსტო კოდი		
ქალაქი		
ქვეყანა		
ტელეფონის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		(არასავალდებულო)

დაზიანების არსებობის შემთხვევაში საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		

ხელმისაწვდომი	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)
კომენტარი		

დაგეგმილი სამუშაოების შემთხვევაში საკონტაქტო ინფორმაცია

პიროვნება/საოპერაციო		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		
ხელმისაწვდომი	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)
კომენტარი		

კავშირის დარღვევის შემთხვევაში საკონტაქტო ინფორმაცია

პიროვნება/საოპერაციო		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		
ხელმისაწვდომი	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)
კომენტარი		

ესკალაციის შემთხვევაში საკონტაქტო ინფორმაცია

პიროვნება/საოპერაციო		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		
ფაქსის ნომერი		
ხელმისაწვდომი	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)	☒ 24/7 ☐ საოფისე საათები, მიუთითეთ (დროის სარტყელის მითითებით)
კომენტარი		

3. მომსახურების სახე

ურთიერთჩართვის წერტილი: თბილისი	
ძირითადი მომსახურება:	
☐ სილქნეტის თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია	☐ საქართველოს დანაჩენი ტერიტორიის (თბილისის გარდა) სილქნეტის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია
ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing	E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing

დამატებითი მომსახურება:	
☐ **ტრანზიტი მესამე ოპერატორის ქსელში**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **საერთაშორისო ტრანზიტი**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **თანხის ამოღების მომსახურება**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	

ურთიერთჩართვის წერტილი: ქუთაისი	
ძირითადი მომსახურება:	
☐ სილქნეტის ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია	☐ საქართველოს დანაჩენი ტერიტორიის (ქუთაისის გარდა) სილქნეტის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია
ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing	E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing
დამატებითი მომსახურება:	
☐ **ტრანზიტი მესამე ოპერატორის ქსელში**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **საერთაშორისო ტრანზიტი**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **თანხის ამოღების მომსახურება**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	

ურთიერთჩართვის წერტილი: ბათუმი	
ძირითადი მომსახურება:	
☐ სილქნეტის ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია	☐ საქართველოს დანაჩენი ტერიტორიის (ბათუმის გარდა) სილქნეტის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია
ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing	E1-ს რაოდენობა: ორმხრივი შემომავალი/Incoming გამავალი/Outgoing
დამატებითი მომსახურება:	
☐ **ტრანზიტი მესამე ოპერატორის ქსელში**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **საერთაშორისო ტრანზიტი**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	
☐ **თანხის ამოღების მომსახურება**	ტრაფიკის საშუალო დღიური მოცულობა(წუთი):
ტარიფი: დამატებითი მოლაპარაკები საგანი	

4. სასადგურე ინფორმაცია/უზრუნველყოფა

ადგილმდებარეობა	ოპერატორი	სილქნეტი
კომპანიის სახელწოდება		
კომპანიის მისამართი		
Zip კოდი/საფოსტო კოდი და		
ქვეყანა		

კომპანიის სახელწოდება		
კომპანიის მისამართი		
Zip კოდი/საფოსტო კოდი და		
ქვეყანა		

სიგნალიზაციის ტიპი	SS7	
სიგნალიზაციის პოინტ კოდი	☐ International, Network Indicator NI = 0 5803 decimal , 2-213-3 international format ☐ National, Network Indicator (1-3) NI =	

ტექნიკური დაგეგმარება – ოპერატორის საკონტაქტო ინფორმაცია

პიროვნება/საოპერაციო ერთეული		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		

სასადგურე დაგეგმვა – სილქნეტის საკონტაქტო ინფორმაცია

პიროვნება/საოპერაციო ერთეული		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		

5. თანალოკაცია

☐ თანალოკაციის ფართის მოთხოვნა

☐ თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
☐ ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. #22
☐ ბათუმი, 26 მაისის ქ. #47

შეკვეთის თარიღი: სერვისი მოწყობის სასურველი თარიღი :

თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა ☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. #22
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა ☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

ბათუმი, 26 მაისის ქ. #47
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა ☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

6. გადაცემა (ტრანსმისია)

ურთიერთჩართვის ტიპი: ☐E1 (2Mbit/s) ☐ ახალი შეერთება:	ურთიერთჩართვის ტიპი: ☐E1 (2Mbit/s) ☐ არსებული შეერთება:
☐ ახალი შეერთება პროექტირება: ☐ სილქნეტის მიერ; ☐ ოპერატორის მიერ;	☐ შეერთების აღწერა (ტიპი, კაბელის მარკირება,)
მთლიანი რაოდენობა E1 (გთხოვთ მიუთითოთ) ახალი: ? E1	მთლიანი რაოდენობა E1 (გთხოვთ მიუთითოთ) ახალი: E1 გაუქმება: E1
არსებული შეერთება:	
სხვა კომენტარები:	

სახაზო მეურნეობა

პიროვნება/საოპერაციო ერთეული		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		

ტრანსმისიის მართვა

საოპერაციო ერთეული		
ტელეფონის ნომერი		
მობილურის ნომერი		
ელექტრონული ფოსტა		

ინტერფეისი

ოპერატორის ინტერფეისი ☐ G.703, 120 Ω (2Mbit/s) ☐ G.957 (STM-1) (2Mbps,34Mbps,45Mbps 155 Mbps)	სილქნეტის ინტერფესი ☐ G.703, 120 Ω (2Mbit/s) ☐ G.957 (STM-1) (2Mbps,34Mbps,45Mbps 155 Mbps)

კონექტორის ტიპი

☐ 120 Ohm= DSUB or RJ 45 ☐ Optical = SC/PC	☐ 120 Ohm= DSUB or RJ 45 ☐ Optical = SC/PC

7. ტესტები

☐ Transmission Test
☐ C7 Test

8. ვადა

ხელშეკრულების ვადა (RFS-ის შემდეგ) ☒ 1 წელი (სტანდარტული)

9. **ღირებულება** (ივსება სილქნეტის მიერ)

ვალუტა: ☐ ლარი (ძირითადი) ☐ USD $ ☐ Other:			
ტარიფების ცვლილების შეტყობინების ვადა* : ☐ 14 დღე	ბილინგი: ☒ყოველთვიური		გადახდები: ☒ ყოველთვიური
საკრედიტო/წუთობრივი ლიმიტი(არსებობის შემთხვევაში):			
დროითი სარტყელი: საქართველო			
სხვა ხარჯები: ☐ Local Loop ☐ შიდა დაკაბელება ☐ კროსკონექტები ☐ სხვა	შეკვეთის ავტორი:	ფასი:	OTC MRC

*** გარდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ტარიფის ავტომატურად ცვლილებისა**

10. **სილქნეტის ოპერატორებთან ურთიერთობის მართვა** (ივსება სილქნეტის მიერ)

მენეჯერი	კომპანიის სახელწოდება	
ტელეფონი/მობილური:	ელ. ფოსტა:	ფაქსი:
სილქნეტის ბილინგის საკონტაქტო ინფორმაცია	სილქნეტის ტარიფების ცვლილება:	სილქნეტის ოპერატორებთან მომსახურების ცენტრი:

11. **დამატებითი ინფორმაცია**

12. **დასტური**

ვადასტურებ, რომ გავეცანი, ვეთანხმები და უპირობოდ შევასრულებ სს „სილქნეტის“ საკუთარი სადენიანი ფიქსირებული ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების

წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) ყველა პირობას.

კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობა _____

ხელმოწერა

დანართი №2

სს „სილქნეტის" თანალოკაციის ფართებთან ავტორიზებული პირების დაშვების პირობები

თანალოკაციის ფართთან დაშვების წესი:

1. ავტორიზებულ პირთა წარმომადგენლების დაშვება იმ შენობებში, სადაც მათი აპარატურული კარადები და სხვა მოწყობილობებია განთავსებული, განხორციელდეს სპეციალური საშვების საშუალებით, რომლის გაცემასაც ახორციელებს სს „სილქნეტის" შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი სათაო ორგანიზაციის შესაბამისი სამსახურის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელშიც მეთითება ავტორიზირებული პირის დაშვებაზე უფლებამოსილი კონკრეტული თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი.
2. შენობებში დაშვება ხორციელდება სათაო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ვადებში.
3. ავტორიზებული პირი ვალდებულია წინასწარ მიმართოს სს „სილქნეტს" აპარატურის შეტანის, დემონტაჟისა ან/და შენობიდან გამოტანის მოთხოვნით. მიმართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს აპარატურის ზუსტი მონაცემები და ასევე იმ პირის ვინაობა, ვინც უნდა განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.
4. აპარატურის გადატანა, შენობაში შეტანა, დემონტაჟი და შენობიდან გამოტანა ხორციელდება სათაო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის წერილობითი ნებართვის საფუძველზე ავტორიზებული პირის წერილობითი მიმართვის შემდგომ. აპარატურის შეტანის მოთხოვნის შემთხვევაში სს „სილქნეტი" ნებართვას გასცემს იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირის მიერ წარმოდგენილი არის აპარატურის ზუსტი მონაცემები (მათ შორის: მარკა, მოდელი, სერიული ნომერი და გაბარიტები) და ამასთანავე აპარატურის განთავსება თანალოკაციის ფართზე არ უქმნის რაიმე რისკს შენობა/ნაგებობებსა და სხვა განთავსებულ აპარატურას. ნებართვაზე უარის შემთხვევაში სს „სილქნეტი" აცნობებს ავტორიზებულ პირს უარის მიზეზს. ნებართვის გაცემის შემთხვევაში ნებართვის ერთი ასლი გადაეცემა დაცვის სამსახურს. ნებართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), აპარატურის ზუსტი მონაცემები და იმ პირის ვინაობა, ვინც უნდა განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.
5. აპარატურის გადატანას, შენობაში შეტანის, დემონტაჟისა ან/და შენობიდან გამოტანის შემდეგ მხარეების წარმომადგენლებს (ავტორიზებული პირის მხრიდან სამუშაოების განმხორციელებელი პირები, ხოლო სს „სილქნეტიდან" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: სამუშაოების განხორციელების თარიღი, სამუშაოების ტიპი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა, ვინაობა, აპარატურის ზუსტი მონაცემები (მათ შორის: მარკა, მოდელი, სერიული ნომერი და გაბარიტები), შესაბამისი თანალოკაციის ფართის მისამართი. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდა სამუშაოების დასრულებისას ავტორიზებული პირის მიზეზით, იგი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სს „სილქნეტის" ოპერატორებთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
6. ავტორიზებული პირების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტროუსაფრთხოების ზომები, აგრეთვე სისუფთავე და წესრიგი, განსაკუთრებით სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას და დამთავრების შემდეგ;

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ შავდია

დანართი №3

სს „სილქნეტის" თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები

ტარიფები:

მომსახურების ტიპი	**თბილისი**	**ქუთაისი**	**აჭარა**	**რუსთავი**	**ზუგდიდი**	**დანარჩენი საქართველო**
დაშვება თანალოკაციის ფიზიკურ ფართზე (ლარი/თვე კვმ-ზე)	114.48	124.63	99.19	107.47	28.84	69.75
დაშვების საათობრივი განაკვეთი - დღის სამუშაო [ორშაბათი-პარასკევი 09:00-18:00] (ლარი/სთ)	6.25	6.06	3.98	6.25	2.61	5.11
დაშვების საათობრივი განაკვეთი - დღის სამუშაოს გარდა (ლარი/სთ)	8.75	8.49	5.57	8.75	3.66	7.16

შენიშვნა: ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე

აპარატურის სიმაღლის ტექნიკური სტანდარტი

აპარატურის სიმაღლის ტექნიკური სტანდარტი არის შემდეგი:

- აპარატურული კარადის მინიმალური ზომა 60X60X9U;
- აპარატურული კარადის მაქსიმალური ზომა 60X80X42U (2.20მ);
- სერვერის მინიმალური ზომა 60X100X42U;
- სერვერის მაქსიმალური ზომა 80X100X42U.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ შავდია